

572
1981

ISSN 072-0005
ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ ԳՐԱԴԱՐԱՆԻ
ՏՈՒՐԿՄԵՆԻ ԿԵՆՏՐՈՆ



1981 ՅՅՅՈՆԵՄ ՆԵ

ՀԱՅԿԱՍՏԱՆ

ზაფხული

თარგ მამონიძის

პერი, პერი, პერი, პერი,
შოდვიართ და შოკოლადით.
შხს სხივში გახვეული
პოპონანე შია და ველი.
გახვლება ციხე, გავხვდება კოშკი,
პოპონანე—ვეფხე ბეჭი,
ცაში—ოპიბი, ტყეში—შვლი.
განაშულა შინდერად შუკერი,
დაკარული ბილიცხი,
შლინარეთა თვირი ჭკერი,
ჩვეა, ფრიღებით დანახული—
სქართველოს დღერჯი პერი
ჩვენი და ჩვენ ველიძისი,
ჩვენს თვლას და ნახივს ციხის
უნდა უნახოთ, ვადვალახოთ
ბერი შია და ზვერა სვარი,
სანამ იხვე სკოლის წიგნზე
დავკახორებებს სუპერმანით—
შიოდვიართ და შოკოლადით
პერი, პერი, პერი, პერი!



პაპა და შვილიშვილი

მამონიძის

თიბავს და თიბავს პაპა,
ზუინს ენატებს ზუინი,
ვტიტიუნება მოხუცს
პატარა შვილიშვილი
— რად ვეინდა თივა ამდენი
ვისთვის ედგამი ამდენ ზუინს...
მოხუცი მშვილად ეღობის
პატარა შვილიშვილს.

და ეღობება:—ზამთარში,
როდესაც თოვს და წვიმს,
მეწველ ფურს ვაქვებ... თიბილი ძიქ
რამდენიც გინდა, სეი...
თიბავს და თიბავს პაპა,
ზუინს ენატებს ზუინი...
გულს უხალისებს მოხუცს
თინდგომა შვილიშვილს.



ზაფხული!

ყურყურეა

მამონიძის

— სახანაო! სახანაო! —
უხი ტილებს ვეფხავს.
ვარს ვივლით ვაწვადებს
ვინდი შუიკვია.
ვიფხია და აქვანკლით
წირობებს გზარული
კიკლას ჩხილით,
ვალის ჩხილით,
ვანი ვადამარხილი
გირიფ-გირიფ მიჭრის ეღუ.
— უშლია ფეფარი,
ვარტლას ჭკერებს,
ბილიას ჭკერებს
ზიკანებს ჭკეფათი.

ღალი-ღალი,
პარაშული,
— ახ მე, და ახ შენ —
ეფარ ტილებში ზივა ველი
ტრელ ზერის შიოთამაშებს,
ჭეპი-ჭეპი,
შხაი-შხეი,
რა ლილევა ვაღლი!
შენ რა წელისის ჩამოქვდი,
ფერვა ვერ ვაწვადია?
— ახ, მიდი,
ჭკარი, სკუბი!
— აქ ვარ, სე ვეწილი —
ვერ იშობებს ვაგარ ზერი
ვიღება და ვინაშნ!
გირიფ-გირიფ მიჭრის ეღუ.
— უშლია ფეფარი,
ვარტლას ჭკერებს,
ბილიას ჭკერებს
ზიკანებს ჭკეფათი...



მამონიძის



სკოლა

მღვწეა
მეგობარული

წილედ, მაგრამ პაპაშენმა აიხირა, გინდა თუ არა ხალხს საარაყვდ ცალკე ჭსრის უნდა ვიქონიოო. იტყვის და გააკეთეს კიდევცა, ვინ დაუდგება წინა.

გოგონა ცხელ რძეს სვამდა, ხაჭაპურს აყოლებდა და თან კაკლის ხესავით ვეება ხართუთას გაჭყურებდა. მისი ტოტები თერთად იყო გადაპენტილი, ზედ წვეროკინაზე ბელურები ისხდნენ, ხალისიანად უიფივებდნენ და თან თუთას მიირთმევდნენ.

ნათია საუზმოდა და ფიქრით პაპასთან იყო, ვერც კი წარმოედგინა, როგორი უნდა ყოფილიყო ხალხმრავალი ბაზარი, სადაც პაპას კასრი უნდა ეყიდა. რა იქნებოდა, ნათიაც წაეყვანა. სკოლაში ხომ აღარ დაღის! ხუთიანებით გადავიდა მეორე კლასში და ქების სიგელიც მისცეს.

ამ ფიქრში იყო, რომ ჭიშკარი გაიღო და ეზოში ცხენშებულნი ორთვალა შემოხრიგინდა. პაპა კოფოზე იჯდა და ორივე ხელით სადავე ეჭირა. ორთვალა სათონესთან მიაყენა და ჩამოხხი.

— მოდრ, დედაკაცო, ადგილი ნახე, სად დადგა, — პაპამ თოკები შემოსხნა ახალთახალ კასრს და ძირს ჩამოლება დაუშირა.

ბებომ ტაბაკი სკამზე დად-

ნათია აივანზე გამოტანტალდა, კიბისთავთან შედგა და თვალმოჭუტვით გაპხედა შორს, ფუმფულა ღრუბლებში ავორებულ წითელ სფეროს, რომელიც სულაც არ ჰგავდა მზეს, მერე სახეზე ჩამონწილი ხშირი თმა აიკრეფა და დაბლა ჩაიხედა: კიბის საფეხურები ქვემოთქვემოთ ეშვებოდა, მერე მარცხნივ უხვევდა და ხართუთის ჩრდილში იკარგებოდა.

ნათიამ შიშველი ფეხების ტყაპუნით ჩაირბინა რამდენიმე საფეხური, შედგა და მოაჯირს გადაეყრდნო.

დილის სითით დარხეული ხართუთა წყნარად შრიალებდა, ძირს პანტაპუნტით ცვიოდა მწიფე ნაყოფი. ხის ქვეშ წითელ ყვინჩილებსა და ქრელაჭრულა ვარიკებს მოეყარათ თავი, სადაც თუთა დაეცემოდა, იქით გარბოდნენ და ყელს იკოკოლოზინებდნენ. ყვინჩილები დროდადრო თვს ანებებდნენ კენკვას, კისრებს იგრძელებდნენ და სასაცილოდ ყიოდნენ.

— დედიკო, პაპა უკვე წავიდა ბაზარში? — ეზოს თვალი მოავლო ნათიამ და ცხენიც მოისაკლბსა და ორთუთალაც.

— დამიან წასულა, მეც ვერ გავიგე, შენთვის ალბათ ხარბაზანიც რომ დაეცალათ ყურთან, მაინც ვერ გაიგონებდაი.

ნათია ტუჩები დაბუშტა.

— რას იბუტები, რაც დააბარე, კი არ დავიწყნია, წაყვანაც უნდოდა შენი, მაგრამ ღრუბლიანი იყო და შეეშინდა, არ განვიმდეს, — გაზაში არ დამისველდესო, — აღერსით ეუბნებოდა დედა.

გოგონამ კიბე ჩაირბინა და თაფლო ბეპოს მოეხვია. ბეპო გრძელ სკამზე იჯდა, მუხლებზე ტაბაკი ეღო და გალეული დანით წვრილად კუნავდა ბალახს, პატარა ჭუკებს უშზადებდა საჭმელად. ბეპო თვალებით მიესიყვარულა გოგოს.

— კარგია, რომ საშინაოდ გაცვია. დღეს, ხომ იცი, ხართუთა უნდა დავარხიოთ. აი, სადაცაა გამოჩნდება პაპაშენი, დიდ, თავლია კასრს მოიტანს ბაზრიდან და...

— კასრი რილასთვის გინდათ, ბებიკო? — გვერდით მიუჯდა ნათია.

— შიგ თუთას ჩავყრით და მერე არაყს გამოვხდით. კასრები ბევრი გვაქვს. ზოგი ჭაჭის შესანახად, ზოგი სამ-





გამოვიდნენ სათონიდან და კარგად იყვნენ დალიან მოენონა და სულ პაპას ქებაში იყვნენ, ეს რა კარგი რამე უყიდაო.

— რთველში საკუთარი საკრეფელა გექნება, — შეშხაროდა პაპაც, — მანამდე კი თუთას, ბალს ან ალუბალს ჩაპყრი ხოლმე. პო, მართლა, ნაღი რეიტუზი ჩაიცვი, კანჭები არ დაგაფხაჭნოს, თუთა უნდა დაგვარხიოთ და, აბა შენისთანა ქაჯს დაბლა რა გააჩერებს.

— ნათია მაშინვე ზედა სართულზე ავირდა, პაპას ჯერ საუბარ არ ჰქონდა მოთავებული, რომ უკვე თავს ადგარეიტუზში გამოწყობილი.

პაპამ გრძელი კიბე მოიტანა, ნათია ხელში აიყვანა და ზედა ტოტებისაკენ აბობლდა. დედამ და ბებომ ხართუთის ქვეშ დიდი ჭილორე დაფინეს, მერე შველი ფარდაგი და რალც-რალცეები მიამატეს და პაპამაც ფეხი დაპყრა ქვედა ტოტს. იგრილა თუთამ და სეტყვასავით ჩაიმიანა ჭილორეზე.

— შენ ზევითა ტოტებზე გადი, შვილო, და კალათაში მოარჩიე ყველაზე კარგები, — უთხრა პაპამ ნათიას და ახლა მეორე ტოტს დაპყრა ფეხი.

მსვილ-მსხვილი თუთის რბილი სეტყვა უწყვეტლივ დგანდგარებდა. ბებო და დედა ჭილორეზე და ფარდაგზე დაბობლავდნენ, თუთას კრეფდნენ, ვედროებს ასვებდნენ და სათონისაკენ ეზიდებოდნენ ახალ კასრს ჩაისაყრელად.

ნათიამ ძირში ფოთლები ჩაუფინა კალათას, კაპზე გაპყიდა, მეტი სიმწიფისაგან ვარდისფრად დამკრახულ თუთას კრეფდა და კალათში აწყობდა. ისე მსხვილები იყო, რომ ორი ცალი ძლივს უთავსდებოდა ხელისგულზე. მერე ზემოდან ფოთლები

პილთუმე ციციცივი წყლითა, მაგრამ ნაძიც არ ვასვლია. — პაპამ ზურგზე მოიკიდა კასრი და სათონისაკენ წაილო.

ბებო და დედა უკან მიჰყენენ, რომ ჩამოდგმაში მიხმარებოდნენ.

— აბა, მაიტათ ახლა, პური შემაჭამეთ და ცხენსაც მიუყარეთ რამე, — პაპამ ცხენი ორთვლიდან გამოხსნა და სათონისაკენ წაიყვანა, მერე მობრუნდა, პირსაბანთან წაიხარა და ვეება ხელეებით თეთრი წვერი ჩამოიბანა.

ნათიამ პირსახოცი შეაგება და გაბუსხულმა შეხედა. პაპა მიუხვდა.

— რომ გამეღვიძებინე, ერთი-ორი სანტიმეტრი მაინც დაეგაღვიძებოდა სიმაღლეში... ძილში იზრდება ბავშვი, — ალერსით უთხრა და პირსახოცი გამოართვა, — შენ რომ იცოდე, რა მოგიტანე, აღარ დამემდურებოდი. ჭალზე რომ ჩანთაა დაკიდებული, მიდი, ის ჩამოხსენი.

ნათია მაშინვე ორთვალსაკენ გაიქცა, ჩანთა ჩამოხსნა და იქიდან პანია კალათი ამოაძვრინა. ემსუბუქა თხილის პწკლებით წმინდად მოწნული და ნაპირებმოგვირისტებული კალათა. შიგადაშიგ ფერადი პწკლები დაუდევდა, თეთრი სახელური კი ცისარტყელასავით ჰქონდა გადარკალული კიდიდან კიდემდე.

ამ დროს დედა და ბებოც

გა და ნელზე ხელშემოდებულნი წამოვიდა სათონისაკენ, თან კასრს ათვალეიერებდა; ეტყობოდა, მოენონა.

— ჯერ რა დროს დადგმაა, კაცო, გასაჟღინთი იქნება, — შეეკამათა. — არაფერი არ უნდა. თქამზე გამოვიარე, სულ გავა-

გადაფარა სავსე კალათას და პაპას სთხოვა, ძირს ჩამსვიო.

პაპამ ჩამოსვა, კალათაც ჩამოაწოდა, თვითონ კი ზევით ტოტებზე ავიდა, ბოლოს ნვერის ტოტებზეც დაარხია და ხიდან ჩამოვიდა.

ნათია ჭილოფზე დაცოცავდა და ვედროში ყრიდა აკრეფილ თუთას. საქმეს რომ მიორჩნენ, მერელა წამოღება.

— პაპილო, მიყურე! — მოხუცის წინ შედგა, თითები ერთმანეთს მიატყუპა და ვედარ გაშალა.

— დაშაქრებულია თუთა და იმიტომ გეკრობა ხელეზე, ნადი, დაიბანე, — პაპა ახლა ქალებს მიუბრუნდა, — თუთას ცოცხალი შეუყენეთ და თავი მაგრა დაუხუფეთ კასრსა, ერთ კვირაში ცეცხლივით არაყი გვექნება.

— როგორი დაბრანული თუთა მოურჩევია? — დედამ სავსე კალათას დახედა. — რისთვის გინდა ამდენი?

— ელენე ბებოს უნდა მივეუტანო, — მიუგო ნათიამ, და კალათას დასწვდა.

პაპამ უღვაშებში ჩაიკარგა ღიმილი, ბებომ თავშლის ყურით მოიწმინდა უცაბედი ცრემლი, დედაც ამაყად მდგარი გაჰყურებდა ჭიშკრისაკენ მიმავალ გოგონას. ყველამ იცოდა, თუ ვისთან მიჰქონდა ნათიას თუთით სავსე კოპონა კალათა. ელენე ლოგინად ჩავარდნილი მარტოხელა მოხუცი ქალი იყო, გზის გადაღმა ცხოვრობდა.

— ხელმადლიანი ქალი გვეზრდება, — თქვა პაპამ, როცა ნათია ეზოდან გავიდა.

ბებო და დედაც ჭიშკრისაკენ იყურებოდნენ, და კალთადაბურტყილი ხართუთაც, თითქოს ნათიას აცილებსო, ვეება ტოტებს აქნევდა.

ერთხელ სიზმრად თეთრმა ერთი გედი იხილა.

— ფრენა თუ გსურს, ყური მიგდე —

გედმა ნაუყიყინა, —

— დღე-ღამე უნდა ივარჯიშო.

დღე-ღამე უნდა იშრომო,

მიუწვედომი არ არსებობს,

სულ ამოდ შიშობო.

ცხრა მთას იქით მინდორია,

დღესვე იქით ნადიო,

ფრენას გზა-გზა შეისწავლი —

უნდა მოინადინო!

ეს უთხრა და გედმა ფრთებით

გასჭრა ზეცის კამარა...

თეთრმა ჭუკმა სიხარულის

ცრემლი ვედარ დამალა.

და იმ დღიდან გზას გაუღდა

შორეულს და საძნელოს,

მხოლოდ ეს თქვა: მშვიდობითო,

საბატვე და საბძელო!

მშვიდობითო და-ძმებო და



ალექსანდრე ბაბატაძე

იყო ერთი ჭრელი ბატი, ჰოდა, იმ ჭრელ დედა ბატს ქვეყნად შვიდი ჭუკის გარდა

არაფერი ებადა. ექვსი ჭუკი ჭრელი იყო, თეთრი იყო მემვიდე, — ალბათ ავადმყოფიო! სხვა ჭუკები შეშინდნენ. ის კი მუდამ არხეინად მწკრივში მიბაჯბაჯებდა... ოღონდ ერთი ახირება იმთავითვე დასწემდა: — ფრენა უნდა

ვისწავლოო! აბა რათ მაქვს ფრთებიო, ცად კამარა უნდა შეეკრა, გადავსერო მთებიო! ჰოდა, როცა სხვა ჭუკები ბალახ-ბულახს

წინკინდნენ, თეთრი ჭუკი ნალვლიანად გაჰყურებდა ცის კიდეს. ხან არჩვიად ყოფნა

სურდა, ხან შევარდნად გახდომა, ფრენის გარდა არაფერი, არაფერი ახსოვდა.



მერე ერთ დიდ
მდინარესაც
გადაველო პა და პა...
და იმ მსუნაგ მელაკუდას
დაეკარგა თვალთავან.
მეორე დღეს მგელს
წააწყდა
ბოროტსა და საშინელს
და ძლიერი თეთრი
ფრთები
გაახსენდა მაშინვე.
მირბის, მიფრენს, პანია
გულს
ბაგა-ბუგი გაუდის,
და მგლის კბილებს
სისხლიანებს
ფრინა-ფრენით გაურბის.

უცებ ერთ დიდ კლდეს
წაადგა,
გაიხარა ვიტვიტამ,
ხელად ფრთები გაშალა
და
გადაეშვა იქიდან.
ვინ ჩამოთვლის ყველა
ხიფათს,
რაც გრძელ გზაზე იწვნია,

მომხდირრო ბუდუო,
ვცდები, უფმ იმ
მინდვრიდან
ფრენით დაგებრუნდუო.

მიდის, მიდის თეთრი
ჭუკი,
არ თავდება სავალი,
გზად შემოხვდა სიძნელე
და
ფათერაჟი მრავალი.
პირველ მთას რომ
გადასცილდა,
აქედენა მელაია,
მისდევს მელა, მირბის
ჭუკი.

ძალა გამოთვლია,
სამბოლა დაეხევა,
გადარჩენა ძნელია.
უცებ ფრთები გაახსენდა,
ფრთები მოიშველია.
გაშალა და პატარა ხეცს
გადაეველო იფნებთან,
თვითონაც კი არ ესმოდა,
მიხტოდა თუ მიფრენდა.



ყველაფერი მხოლოდ
მისმა
თეთრმა ფრთებმა იცინან.
ბოლოს მაინც შეაღწია
იმ სასატრელ გაბოლო
კვლას
მიხვდა ძუფუო თურმე
ფრინა
შეესწავლა გზამიგე:
იქ-მას ერთმა გუდა
უთხრა:
-- შენ ხარ? ძლიცხდა
გიტანის
ფინე ამ ძნელ გზას
გამოივლის,
ფრენას ყველა იხსნავლის.
აბა, ერთი გაფრინდით.
უთხრა ამოიღის
ლილინით,
ჭუკმაც ფრთები გაშალა
და
ცად აიჭრა ყიყინით,
მინდორს თავზე
შემოეველო
განა გარჯა-ოფლითო,
და კვლავ იქით გაემართა,
საიდანაც მოფრინდა.

დილით ადრე გამადვიდა ბებიამ: ადე, მანანო, ვენახში წავიდეთო. ავდექი, ჩავიცვი, პირი დავიბანე და ჩემს პატარა კალათას წამოვაველე ხელი. ბებიამაც აიღო თავისი კალათა. წავედით.

ჯერ საურმე ვაზზე ვიარეთ, მერე რკინიგზა გადავჭერით და ჩვენს ვენახში შევედით. ბებიამ ყურძენი მარტო თვითონ დაკრიფა, ფრთხილად, დაკვირვებით მოარჩია ყველაზე მწიფე მტენები. მე მხოლოდ ატმისა და ლედვის დაკრეფაში მიმიშველია. ის კავით ჩამოსწევდა ხოლმე ტოტს, მე კი ვკრეფდი.

ავავსეთ, თავი მოვუბით კალათებს, ზემოდან ბრტყელ-ბრტყელი ლედვის ფოთლები დავაფარეთ და წამოვედით.

გზადაგზა ბებიამ ფერიცვალას დამანახვებად ხოლმე. თან ხეწენით მეტყუოდა:

„გენაცვალოს ჩემი თავი, მიდი, ერთი მოწყვიტო“. მეც კალათას დავდგამდი და მივრბოდი ყვავილის მოსაწყვეტად.

ფერიცვალა ერთიანად თეთრი, ქათქათა ყვავილია, მხოლოდ შუაგულში აქვს წითელი ღვინისფერი ხალი. ეს ყვავილი ბებიას ძალიან უყვარდა, შემოდგომის მახარობელს ეძახდა. „როცა ფერიცვალას შუაგულში ხალი გაუჩნდება, მთელი ბუნება ფერს იცვლის და წლის მოსავალიც სიმწიფეში შედისო“, — იტყოდა ხოლმე ბებიამ.

მეც ძალიან მიყვარდა ფერიცვალა. ჩვენს სახლის ზემოთ გორაზედაც უარგანა-კორა მზის გულზე იყო და ავისტომო-სისქანა-ბიხრუკებოდა, ზედ ბალახის ნატამალიც აღარ აჩნდა. ფერიცვალეები კი იდგნენ ჩამოფრთხილებულზე შეფენით, საღამოობით ნაიშვრდნენ თავს და ცახცახ-ცახცახით თითქოს სადღაც გარბოდნენ. ვიცოდი, ზემოდან ნიავი უბერავდა და იმიტომ ცახცახებდნენ, მაგრამ მე მაინც ასე მეგონა, რომ მივრბოდნენ და ზემოთ მიმავალს წინ მეგვებებოდნენ.

იქ კი, დაბლობში, სულ სხვანაირები იყვნენ ფერიცვალეები, არც მივრბოდნენ სადმე არც ცახცახებდნენ, წყნარად, ყინჩად ისხდნენ ბალახებში.

მაღლ მივედი შინ. ფერიცვალას კონა და კალათები თუთის ქვეშ, ხის სკამზე დავა-



რამო? როგორ? სად? როდის?

ქალს ქებლი დაუღებს

ძალი, ცხენთან და სპილოსთან ერთად, ადამიანის უერთგულესი მეგობარია. ძალი არის ბუჯითი დარაჯიც, მესასლავრის თანაშემწეც, მონადირეც, უსინათლოთა გამყოფიც. და ბოლოს, ძალღმა ცხოველთაგან პირველმა იმოგზაურა კოსმოსში.

ადამიანს ძალი უსოვარი

დროიდან ემსახურება და ადამიანზე სიყვარულით მიუგებს მას სამაგიეროს.

აი ორი ნამდვილი ამბავი, თურათმ აუგეს ძალღებს ძეგლები.

ანტარქტიდაში, სადაც ყინულის სქელი ფენით არის დაფარული ყველაფერი, ღროვებით სადგომებში ცხოვრობდა თერთმეტი იაპონელი მეცნიერი და თხუთმეტი მარხილის ძალი. დადგა სადგურიდან ხალხის გაყვანის დრო, მაგრამ სადგური-საკენ მიმავალი ყინულმჭრელი ჩაიძირა. ბოლოს ყინულზე შერჩენილი ხალხი ვერტმფრენებით

გადაიყვანეს ხმელეთზე, მაგრამ ისე მოხდა, რომ ძალღების გადასაყვანად ვერტმფრენი ვეღარ მიბრუნდა. ასე ჩარჩა თხუთმეტი ძალი ყინულის უღანბნოში.

როცა იაპონიაში გაიგეს ეს ამბავი, აღშფოთებულმა ხალხმა დამნაშავეთა დასჯა მოითხოვა. მერე ფული შეკრიბეს და იმ ძალღებს ძეგლი დაუდგეს. ძეგლს ეწერა: „ანტარქტიდაში შიმშილით დაღუპულ თხუთმეტ ძალღს“.

ერთი წლის შემდეგ იაპონელები ანტარქტიდაში დაბრუნდნენ და წარმოიდგინეთ მათი გაოცება, როცა ვერტმფრენს

წყით და ჩვენც ჩამოვსხედით.

ცოტა რომ შევისვენეთ, ბებიამ ყურძენი, ლელი და ატამი ერთად დაალაგა თევზებზე და მეზობლებთან გამაყვანა. არც ეზოში მოთამაშე ბალები დაივიწყა:

„დაუძახე, შვილო, იმათაც ვაჭამოთ ხილი“. — თქვა ღიმილით.

მეტი თქმა აღარ დამჭირებია, ბიძაშვილი იყო, მეზობელი თუ ზაფხულის არდადეგებზე სტუმრად ჩამოსული, ყველანი მოვიყვანე.*

ბებიამ ბალები მწვანეზე დასხა და თქვა: „ახლა უნდა გაგალამაზოთ“, მერე ფერიცვალას კონა აიღო, საჩვენებელი და ცერა თითით ყვავილებს ხალები გამოაცოლა, გახრისა და ღვინისფერი თითი ყველას სათითაოდ ჩამოგვისვა ლოყაზე.

ბალებმა წამოინიეს, გასაქცევად მოემზადნენ, უნდოდან სარკვეში ჩაეხედათ და გავივით, მართლა გაგალამაზდით თუ არაო. მაგრამ ამ დროს ბებიამ ყურძენითა და ლელვით სახე ტაბაკი წინ დაუდგა ბალებს.

„ჭამეთ, შვილო, რამდენიც გინდა ჭამეთ, დღეს ცხრამეტი აგვისტოა, ფერიცვალობა. აქამდე მანყიხარი იყო ეს ხილი. ახლა დედის რძესავით შეგერგებათო!“

აბა სადღა წავიდოდნენ. დაქიმითულები შეესივნენ ხილს. ბებია თავს დასტრიალებდა ბალებს, მალმალე უმარჯვებდა ტაბაკს,



იღიმებოდა, სახეზე ემჩნეოდა, რომ ყველანი უყვარდა და უხაროდა, ბალები ასე მაღიანად რომ შეეცეოდნენ ხილს. მეც იქ ვიყავი ბალებთან. ბებიას შევეცეოდი და ვფიქრობდი, მეც ისეთივე, ჩემი ბებიასავით კეთილი და გულუბრივი ვყოფილიყავი, ისევე მყვარებოდა ადამიანები, და არაფერი, არაფერი არ დამეზოგა მათთვის.

ბინო ბეზარაშვილი



წმუტუნით და კუდის ქიცინით ათი ძალლი შემოეგება. თურმე გონიერ ცხოველებს გადაეღრღნათ თოკები და თასმები და ბინგვინებზე ნადირობით გაეტანათ თავი.

ბარიზში ძეგლი დაუდგეს სენბერნარის ჯიშის ძალღს—ბარის. მამაცმა და ტკვიანმა ბა-

რიმ სიკვდილს გადაარჩინა თოვლიან მთებში გზადანეული ორმოცი კაცი, ორმოცდამეერთის გადარჩენას კი თვითონ შეეწირა. ბარიზ თურმე ზეგექვეშ მოქცეულ მგზავრს მიაგნო. ამოთხარა თოვლი, კაცს გვერდით მიუწვა და სხეულის სითბოთი გაათბო გათოშილი. როცა კაცი გონზე მოვიდა და თავზე წამომდგარი უშველებელი ნაგაზი დაინახა, მხსნელი ძალლი მგელს რამსგავსა და შეშინებულმა რეოლვერი დაახალა. მამაცი ბარის დაღუპვის ამბავმა ყველა შეაძრწუნა. მადლიერმა ადამიანებმა მას პარიზში ძეგლი დაუდგეს.

კომპანიები დედიკო

მთერ ხანძარამ

ჩვენი ღამაში დედის კომპანიები ქალია, დილით ყანაში დავუყვართ ერთად მე, სოფო და ლია. დღეს მთელი სოხუმ-ქალაქი უხვდავებს შემოგვტარა, და პა, საჩუქრად გვიოცდა ეს კომპანიი პატარა. ხვალ დილით პურის ყანაში ამ კომპანიისაქ წავიღებთ, წავეხმარებით დედის და ჩვენც მოსაველს ავიღებთ.



ალია, მალია

ნუნე ჯალაზიძე

ალია, მალია, მომწონა ძალიანი ათასფერად ბრჭყვიანებს, თითქოს ნატერისთვლია. თითქოს ერთად შევრიდნ, იაგუნეი, ღალია. ცუგრუმედა თამუნამ ვერ მოსწევიტა თვლია. გაანა მარღა თვლია, ხუნჩუტეი ან ღალია? პაპაშია, ღოთოღე



საბავშვო არდადეგა

ვახტანგ ჯნელიძე

გია, ნელი, ვასო, ნანა, ვითამაშოთ კლასობანა, გავეშადლოთ ადრე დილით, ჩავატაროთ გაცვითლი. უველაფერი უნდა გვეკონდეს წიგნები და რვეულები, აქეთ მოდიოთ, დამიჯერეთ რასაც მხურად გეუბნებით.

ნაუ! ნაუ! ნაუ! ნაუ! ჩამოვრეკოთ მალე ზარი. ჩვენს შორის ვერ იბოგინებს. ზარმაცი და აბეზარი. დირექტორად კოტე გვავედს მასწავლებლად კი გულნაზი, ...მოდიოთ, მოდიოთ, გავისწნოთ ჩვენი სკოლა, ჩვენი კლასი.



ანდესი

უსწავლელი კაცი უტარო ცულიაო.

მრომა-გარჯით ნაშოფნი ლუკმა ტკბილიაო

თუ ცოლნით ავივსებით, ვაქკაცებად გავიზრდებით, ავმადლდებით, გავმხნეულებით, სასახელოდ დავებრდებით.



თავისუფლების ფასი



ზაქრო საბავშვო

* კარი ზვიადმა გააღო. გარეთ მამა იდგა, ცალ ხელში ქალაქის პარკი ეჭირა, მეორეში გალია. ზვიადი უკან გაბრუნდა, დიდ ოთახში შევარდა და დაიკოს გასძახა:

— მამამ გალია მოიტანა! გალია მოიტანაო, ბავშვები დაფეთებულებივით ეცნენ შინ შემოსულ მამას.

ზვიადმა კარი მიხურა. გალიაში ჩამწყვდეულ ორ ყვირთელ ფრინველს ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდა დამძა.

— უი, რა ლამაზები არიან! — აღტაცებით წამოიძახა მარინემ, — დამწყვდეულები ხომ არ იდარდებენ, მამიკო?

— არა, შეჩვეულები არიან.

— რა უნდა ვაჭამოთ?

— საკვებიც მოვუტანე! — უპასუხა მამამ და ბავშვებს საკენით სავსე პარკი აჩვენა. კარგახანი გავიდა. ფრინველებს გალობა ახარებდა ოჯახს.

ხანდახან კარდაკეტულ ოთახში ხან ერთ, ხან მეორე ფრინველს გალიიდან გამოუშვებდნენ. ისინიც რიგრიგობით დანავარდობდნენ...

— მოდით, ფანჯარა გავაღოთ და რომელიმე ჩიტი გავუშვათ.

— რომ აღარ მოფრინდეს? — დაეჭვდა ზვიადი.

— ჩიტი ჩიტს არ მიატოვებს, — ირწმუნებოდა დედა.

— ცვაღოთ, — თქვა ზვიადმა.

— ეგრე იყოს!

აქაოდა მამამაც დაადანტურაო, მაშინვე გააღეს ფან-

ჯარა და ერთი ჩიტი გალიიდან გამოუშვეს. ჩიტმა ჭიკჭიკით შემოიარა ყველა ოთახი, მერე გარეთ გაფრინდა და აივნის მოაჯირზე ჩამოსკუპდა.

მარინემ ახლოს დაუდგა გალია.

თავისუფალი ჩიტი გალიას დააფრინდა, აჭიკჭიკდა, თითქოს ეკითხებოდა მეგობარს, რა ვქნა, როგორ მოვიქცე, შენთან ყოფნა და ტყვეობა ვარჩიო, თუ თავისუფლება და უშენობაო?

იმ საღამოს ის ისევ გალიაში დაბინავდა. ასე მოხდა მეორე დღესაც. მესამე დღეს თავისუფალა ჩიტმა იქვე, მაღალ ხეზე ჭიკჭიკის ემზზე მოსული ბელურა შენიშნა. ბელურამ გალობა დაამთავრა, ჰაერში აფრინდა, წრე გააკეთა და იქვე უფრო მაღალი ხის კენწეროზე დაჯდა. ტყვედყოფილ პატარა არსებას თავისუფლების დაუოკებელი სურვილი დაეუფლა, ფრთები გამალა და წამში თვალს მიეფარა.

ყველანი სახტად დარჩნენ. მარინე ატირდა, ზვიადი დროდადრო გაიძახოდა: — რა გაგვანბილა!





თერნალი ჰქვია სოფლებს იმერეთსა და აქარაში (წყალტუბოსა და შუაგვის რაიონებში). აქ ბგერათა ისეთივე გადაამსთან გააქვს საქმე, როგორც მუხრანში. თავდაპირველად იქნებოდა თელნარი. რაც თელნიან ადგილს, თელის ტყეს ნიშნავს.

ჩვენში გავრცელებული და კარგად ცნობილი მცენარეების რიგს მუხისა და თელის გარდა მკუთვნის რცხილა და ცაცხვი. ადგილია სახელებში არც ეს მცენარეები დარჩენილან უყურადღებოდ.

ცხინვალი — სამხრეთოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრის სახელწოდება — სწორედ რცხილას უკავშირდება. ამ მცენარის სახელის ძველი ფორმა იყო კრცხილა, კრცხილა, ხოლო მისგან ნაწარმოები ადგილის სახელწოდება — კრცხილოვანი, კრცხილოვანი; თავში ორი თანხმოვანის დაკარგვის შემდეგ დარჩა ცხილვანი, აქედან კი ბგერათა გადასმით საბოლოოდ მივიღეთ ცხინვალი.



რცხილას გურულ და აქარულ კილოზე ცხემლას ეძახიან. აქედან მიღებულია სოფლების სახელები ცხემლისი და ცხემსა — აქარაში, ცხემლის ხიდი გურიაში.

ამავე მცენარეს სვანურად ცხუში ჰქვია, აქედან მოდის სვანეთის ერთ-ერთი სოფლის სახელი — ცხუშარი. შესაძლოა მასვე უკავშირდებოდეს ქალაქ სოხუმის სახელწოდების ძველი ფორმა ცხუში.

ცაცხვი ჰქვია სოფელს შუგდიდის რაიონში. ამავე მცენარის სახელისაგან არის მიღებული იმერეთის სოფლის სახელწოდება ცუცხვათი (ე. ი. ცაცხვათი).

მხატვარი ნანა სულმინაშვილი

— მე კი მგონია, დაბრუნდება, — იმედს არ კარგავდა დედა.

მოსაღამოვდა. დედას რაღაც ხმაური შემოემხმა. აივნისკენ გაიხედა და სახე გაუბრწყინდა.

ფანჯარას ჩიტი ეხლებოდა და ოთახში შეფერენას ცდილობდა.

დაბრუნებულმა მართოდ დარჩენილს სულზე მოუსწრო...

მამამ გულში გაიფიქრა: შეხე, როგორ სცოდნია მეგობრობა ჩიტს, ადამიანმაც კი არ იცის ზოგჯერ ასეთი მეგობრობა.

ერთხელ, საღამო ხანს,

ოჯახის წევრთა ერთსულოვანი გადანყვეტილებით მარინემ გალიის კარი ღია დატოვა, დილით გალია ცარიელი დახვდათ.

— ვინ იცის, რა სიამოვნებით გალობენ ახლა ჩვენი ჩიტები! — თქვა მარინემ.

— ნეტა რას ამბობენ თავისი გალობით? — ფიქრიანად ჩაილაპარაკა დეამ.

— თავისუფლების ქებადიდებას! — უპასუხა ზვიადმა.

— და კიდევ, — დასძინა დედამ, — ალბათ ტყვედ ყოფილი ჩიტები უგალობენ ოჯახს, რომელმაც მათ თავისუფლება მიანიჭა.

ყლუპ-ნიკა

გაჯავრებულები იყვნენ მოყვლეყვლევებულ ღეროებზე წამოსუპებული მარწყვები, კუშტად იყურებოდნენ.

— დაინახე? დაინახე, ის აცაბაცა ბიჭი კვლებზე როგორ დააბოტებდა? — გადაუჩურჩულა ვარსკვლავმარწყვამ ახლად შეთვალებულ თავციმციმას.

— დავინახე, — გაიშრილა თავციმციმამ, — ისიც დავინახე, ის მსუნავი ბიჭი როგორ წასწვდა საწყალ ლალისთავას და გადასანსლა. მერე მარწყვ-ყუყუნას მიადგა, მერე თავკომბალა და კოხტათავაც გადაყლაპა... მთელი კვალი მოაცარიელა.

— გული მისკდებოდა, ჩვენამდე არ მოვიდეს-თქო. მაგრამ ისიც დავინახე, იოსება პაპა როგორ გამორბოდა ჯოხით ხელში ჩვენს საშველად. ალბათ ეგონა ვიდაც უცხო თუ შემოიპარაო ბალში. მოვიდა და თავისი აცაბაცა შვილიშვილი კი შერჩა ხელში. შეუმჩნევლად წამოადგა თავზე მარწყვის ყლაპვაში გართულს და დაუტატანა:

— ბიჭო, ნიკა, რა კვლებზე დაალაჯებ, გვერდგვერდ ვერ გაივლიო, ყველაფერს თავისი წესი აქვსო. მარწყვი ჯერ უნდა დაკრიფო, გარჩიო, გაასუფთაო, მერე კარგად უნდა გარეცხო და ისე მიირთვაო. ნირწამხდარი ბიჭი პაპას წინ ედგა და უშნოდ იკრიჭებოდა. მერე თავზე ხელი მოიხვა და სიტყვა რომ ბანზე აეგდო, წყნარად იკითხა:

— პაპა, ამ მსხვილ მარწყვს კლუბნიკა ჰქვია თუ ხენდროო?

— აბა, რა გითხრა, — გაიღმა პაპამ, — ხენდრო ქართულადაო, კლუბნიკა რუსულადაო. ახლა კი ჩემო ნიკა, რაც შენ მაგისი ასე უთავბოლოდ ყლაპვა დინწყე, კლუბნიკა კი არა, ყლუპ-ნიკა ჰქვიაო.

მ ა რ გ ო თ ო მ ა ქ ა

მხატვარი ოტარ ჩხატარაიანი



საქართველო

პირველად ბოსტანამ თავისი სახელი მაშინ გაიგო, როცა მინიდან ამოძვრა და ნიკო პაპას კვლებზე გაიქცა.

— არიქა, ბოსტანა! — იყვირა სანდალამ და თოხი მოიმარჯვა. ბოსტანამ იძურნა და მინაში ჩაშვრა.

— რა ჰქენი? — იკითხა ნიკო პაპამ და ბარი მსხლის ხეზე მიჰაყუდა, — ვერ მოჰკალ?

— გამეცა, — დარცხვენით თქვა ბიჭმა და მინას იქ დაუნყო ფეხით ჩიჩქნა, სადაც ბოსტანა დაემალა.

— ეგ ისეთი ოხერია, ქალაქში იქნება უკვე ჩასული, — თქვა ნიკო პაპამ, — თანაც ეშმაკობით სავსეა.

— ეშმაკობით? — გაიკვირვა სანდალამ.

— შო, მანვეც არის და ეშმაკიც, — გაიმეორა ნიკო პაპამ. — ბოსტანაში უყვარს ხოლმე ყოფნა და ბოსტანაც იმიტომ შეარქვეს, ისე კი მახრას ეძახიან. ნიკო პაპამ თოხის ტარზე დაყრდნობილ სანდალას შეხედა.

— რას ჩაფიქრებულხარ, ნანობ, რომ გაექცა?



— არა. — ხმადაბლა თქვა სანდალამ.

— დარდი ნუ გაქვს, მაგის ეშმაკობის ნაშალი მალიც ვიცი. — გაამხნევა ნიკო პაპამ და სანდალას ნდალას ლოყაზე ხელი მოუთათუნა.

„ნეტავ რა ნამალა?“ — გულში გაივლო სანდალამ და სმენად გადაიქცა, აბა, რას იტყვის ნიკო პაპაო, მაგრამ ნიკო პაპას არაფერი უთქვამს, აილო ბარი და რუსკენ გასწავია. რუ ვენახების თავში იყო და მთელ სოფელს თუ არა, ნახევარს მაინც რწყავდა. ნიკო პაპას არ ახსოვს როდინდელი იყო ეს რუ, არც ის ახსოვს, ვინ იყო მისი პირველი გამჭრელი. ერთი კი ცხადია, რომ ამ რუს იმედით იყო სოფელი. სიცხეებს დაიჭრდა თუ არა, დიდხა და პატარას ყველას რუსკენ ეჭირა თვალი. რუ კი მთებს შესცქეროდა, სადაც მისი მანოვარი ძუძუები ეგულეობდა.

ნიკო პაპა რუსთან მივიდა, წყალი გადმოუგდო და მიჰყვა, თან ბარით ფრთხილად უნაკადულებდა, წყალი რომ უქმად არ დაკარგულიყო.

მინაში ჩამძვრალ ბოსტანას კი სულ სხვა ფიქრი და დარდი აწუხებდა, ბორგავდა და ვერ ისვენებდა, ბოლოს მინაში ღრმად ჩაძვრა, თითქოს განსაცდელი იგრძნო. უცებ ტანში სისველემ გაჰკრა და არ ესია-მოვნა, შიშამაც აიტანა, გული აღარ უჩერდებოდა, ადგა და ამოვიდა. რალაც ციკმა და მძლავრმა ძალამ მოიტაცა და გააქანა. აფახუნებდა ფეხებს ბოსტანა, მაგრამ ამაოდ.

— ბოსტანა! — იყვირა სანდალამ, როცა წყალზე მინდობილი ბოსტანა დაინახა, და დასარტყმელად თოხი მოიმარჯვა.

— მოიცა! — შეაჩერა ნიკო პაპამ. — ამ დროს მოსაკლავად მტერსაც არ გაიმეტებენ.

სანდალამ თოხი დაბლა დაუშვა. აწალი ბოსტანას ხან იქით აქანავებდა, ხან აქეთ. მაინც არ ეუწებოდა და საცოდავად იქნევა და გრძელ ფეხებს. ბოლოს ლამში მოყვა და ჩაიფლო. ლამსაც არ შეეშვა. იმდენი იძალა, სამშვიდობოზე გავიდა, ფეხები ტალახისაგან კოხტად გაისუფთავა და თავის გზას გაუდგა.

— მიდი, თუ ბიჭი ხარ, — უთხრა ნიკო პაპამ და თვითონ სერიის საყურებლად შორიხლო დადგა. სანდალამ თოხი მოიმარჯვა, გაქანდა, რომ დაერტყა, მაგრამ ბოსტანამ თვალის დახამხამებებში მინა ამოთხარა და შიგ ჩაძვრა.


— ეგეც შენ, — გაიცინა ნიკო პაპამ და სახტად დარჩენილ სანდალას შეხედა, — აკი გითხარი, მარდია და თანაც ეშმაკ-მთეტი.

უ შ ა ნ გ ბ ე დ ი ა



განმეცნა

ერთმა მწყემსმა მეორეს უთხრა:—მომეცი შენი ფარიდან ათი ცხვარი და ორი შენდენი მეყოლებათ. მეორემ უპასუხა:—ჯობს, შენ მომეცი შენი ფარიდან ათი ცხვარი და ორივეს ერთნაირად გვეყოლებათ. რამდენი ცხვარი ჰყოლია პირველ მეცხვარეს და რამდენი მეორეს?



ვაჟიკი

გაბაფხულზე იცვამს მწვანე კაბას, შემოდგომით გაყვითლებულს იხდის, იმის მკლავზე ჩიტო თვალზე ნაბავს, რა იქნება? აბა, ჩქარა მიხედი.

(თა)

თუმცა იგი შენ გეკუთვნის, რაზეც გეკითხები, მაგრამ შენზე უფრო ხშირად ახსენებენ სხვები.

(სამციო)

სამსახურისთვის



ოთხი ხაზი

ამ ათ წერტილზე გაატარე ოთხი ხაზი ისე, რომ ქალაღს ფანქარი არ მოაკლიო.



ველოსიკედი

აი, ესეც ველოსიპედი! მოახტი უნაგირზე, დააჭირე პედალებს ფეხი და პერი, გაქანდი... თუ ქროლვა გიყვარს, საამისოდ ველოსიპედი მისწრებაა... თორემ აბა ჯოხცხენა რა არის! შენზე უფრო სწრაფად ის ვერ ირბენს და რაღა გამოვიდა! ნამდვილი ცხენი კი სადაა. თანაც, ნამდვილმა შეიძლება გადმოგაგდოს და მოგეჭრება თავი ტოლამხანაგებში. პატარა ავტომანქანაც კარგია, თუმცა ის მინც სათამაშოა!... ველოსიპედი კი ნამდვილია! მაგრამ აბა, დააკვირდი ნახატებს, რომელია საშენო ველოსიპედი? მიხვდი? მე-8 ნომერი, არა? დანარჩენები? 1-ლი ნომერი ქვეყნად პირველი ველოსიპედი, რომელიც 180 წლის წინ ააგო რუსმა ყმა გლეხმა, მჭედელმა არტამონოვმა. ამის შემდეგ შეიდი წელიწადი გავიდა და 1808 წელს პარიზში გააკეთეს ორთელიანი უსაქო ველოსიპედი, რომელიც თვითგორიასავეთ, მინაზე ფეხის ღონიერად მოსმით მიჰყავდათ წინ. ველოსიპედიც მაშინ დაარქვეს, რაც ლათინურად „სწრაფ ფეხებს“ ნიშნავს. მე-5 სურათზე დახატულ ველოსიპედს სატვირთო მისაბმელი აქვს; მე-6 სპორტული ველოსიპედი, მე-7 — გასასეირნებელი; სულ ბოლო კი ორი კაცისთვის განკუთვნილი ველოსიპედი, ტანდემი უკვია. არსებობს წყლის, საპაერო და წყალქვეშა ველოსიპედიც კი. მაგრამ მინც ყველას საბავშვო ველოსიპედი ჯობს, არა?



საქართველოს
ენციკლოპედია

806/135

ნაბეჭ. 76055